ვ. როდონაია ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი ა. არაბული

ქართული ენა 4

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი

ვ. როდონაია ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი ა. არაბული

ქართული ენა

IV კლასი

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი

საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ქართული ენა – IV კლასი პირველი ნაწილი

მოსწავლის წიგნი

ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი
მხატვრები – თამარ ჯაყელი
ნინო აფციაური
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული
გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი
ISBN 978-9941-16-575-7

სარჩევი

საქართველოო ლამაზო – ანა კალანდაძე 5
იაკობ გოგებაშვილი (მოკლე ბიოგრაფია) 9
„დედაენა“ – გიორგი ლეონიძე 11
ბედნიერება – რევაზ ინანიშვილი 13
ოცნება – ალექსანდრე საჯაია 15
ტყეში – ნუგზარ შატაიძე 17
შემოდგომა – თამაზ ბიბილური 20
მზე – ავთანდილ არაბიძე 21
ირმისა – ხალხური 23
ჩვენი ხევი – რევაზ ინანიშვილი 28
ბებრისციხესთან – ოთარ ჭილაძე 33
კავთისხეველი მეურმეები – ვახუშტი კოტეტიშვილი 38
ჩემი რუსთაველი – ნოდარ დუმბაძე 41
უცხო მოყმე – შოთა რუსთაველი 44
წარწერა ქართველ მწერალთა სურათებზე – გიორგი ლეონიძე 46
გამოცდის შემდეგ – აკაკი წერეთელი 48
ნანა – აკაკი წერეთელი 50
ინტერვიუ აკაკი წერეთელთან – იონა მეუნარგია 51
ვინ დათვალოს – აკაკი წერეთელი 53
ძმანი ხერხეულიძენი – იაკობ გოგებაშვილი 55
ამაგის დაფასება – ავთანდილ არაბიძე 57
დავითის გამეფება – ა. არაბიძე (ისტორიული დოკუმენტების მიხედვით) 59
ძველი ადათი – ნუგზარ შატაიძე 63
დამილოცეთ, ძმებო – ანა კალანდაძე 65
ალილო – ანზორ ერქომაიშვილი 66
ყველას! ყველას! ყველას! – მურმან ლებანიძე 68
სათაგური – ვაჟა-ფშაველა 69

საქართველო ლამაზო

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა – არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არის...
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?“
მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში – ტყე დანაბინდები,
ტყეში – ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“

ანა კალანდაძე

სიტყვის სკივრი

ძეწნა – ხე, ტირიფის სახეობა.
ეჭვებით ნაავადარი – ეჭვებით შეპყრობილი.
სადარი – შესადარებელი.
დანაბინდები – დაბურული.
ქორბუდა – დიდრქებიანი (ირემი).

1. როგორ გესმის გამონათქვამი: „სხვა საქართველო სად არი?!“

(შეარჩიე სწორი პასუხი)

1. საქართველო ყველა ქვეყანაზე მშვენიერია.
2. საქართველო ქართველისათვის ყველაზე ძვირფასი ქვეყანაა.
3. საქართველო ყველაზე დიდი ქვეყანაა.

2. მოძებნე ლექსში და წაიკითხე ის ფრაზები, რომლებშიც ჩანს, თუ რა გრძნობებს აღძრავს მშობლიური ბუნება პოეტში.

საგანძური

სხვა საქართველო სად არი,
რომელი კუთხე ქვეყნისა?!
ერი გულადი, პურადი,
მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა...

გრიგოლ ორბელიანი

ანდამატისა – აქ: უტეხი, მაგარი.

სახალისო

მოისმინეთ სიმღერა „საქართველოო ლამაზო“ (კომპოზიტორი თეიმურაზ ნაცვლიშვილი). გამოხატეთ თქვენი შთაბეჭდილება.

დაიმახსოვრე!

ბრჭყალები

ანა კალანდაძის ლექსის ერთ-ერთი სტრიქონი ბრჭყალებში არის ჩასმული: „სხვა საქართველო სად არი“.

ტექსტს ბრჭყალებში მაშინ სვამენ, როდესაც იგი სხვას ეკუთვნის.

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან. როგორც ხედავთ, ანა კალანდაძეს მისი ერთ-ერთი სტრიქონი გამოუყენებია, ამიტომ ის ბრჭყალებშია ჩასმული.

დაიმახსოვრეთ: თუ ზუსტად გადმოიტანთ ნაწყვეტს სხვისი ნაწერიდან, ეს ნაწყვეტი აუცილებლად უნდა ჩასვათ ბრჭყალებში.

3. ყურადღებით წაიკითხე წინადადებები. რა არის ბრჭყალებში ჩასმული და რატომ?

ქართული პოეზიის ყველა მოყვარულმა იცის აკაკი წერეთლის სტრიქონები:

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო“.

ილია ჭავჭავაძემ თავის ერთ-ერთ მოთხრობას წაუმძღვარა ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანაო“.

ანა კალანდაძემ ლექსი „საქართველოო ლამაზო“ საგანგებოდ გადაწერა ამ სახელმძღვანელოსათვის. უშუალოდ შემოქმედის ხელით ნაწერი ტექსტები ისტორიის საგანძურად ითვლება. მწერლების ხელნაწერები ლიტერატურის მუზეუმში საგულდაგულოდ ინახება.

ბავშვებო, შეეცადეთ წაიკითხოთ ჩვენი დიდი მწერლების ხელნაწერები.



ილია ჭავჭავაძე:

წყალ-ლაჯვარი ვ
:
ლაშქარ დგას ყოველთა.
სულ ეფარების დაუსრულებია,
სიყვარულს უშენებია.

აკაკი წერეთელი:

ჩანგურსა ხელ-ჩაგდებულა,
სიმღერა ჩვენ ვერა უგდია,
ჩვენ-ჩვენ ეუცხოს
შეხედულებნი,

ანას თუთის ხე

ანა კალანდაძეს ახალგაზრდობაში აქვს დაწერილი ერთი ლექსი, რომლის სიტყვებიც ქართული პოეზიის ყველა მოყვარულს ზეპირად ახსოვს:

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი“.

გავიდა ხანი. ქალბატონი ანა თბილისში ერთი მრავალსართულიანი სახლის მეორე სართულზე დაბინავდა.

რაოდენ დიდი იყო პოეტის გაოცება, როცა ერთ მშვენიერ დღეს აივნიდან თუთის ხეს მოჰკრა თვალი. ეს ხე ეზოში თავისით ამოსულიყო და შეუმჩნევლად აეყარა ტანი.

იდგა ლაღად გაზრდილი თუთის ხე, ეზოს ალამაზებდა, ბავშვებს ტკბილი ნაყოფით უმასპინძლდებოდა.

ერთხელ ეზოში ხმაური ატყდა. რამდენიმე მეზობელს ხის მოჭრა გადაეწყვიტა: აბა, რა ვქნათ, თუთამ ავტომანქანები შავად მოგვითხვარაო. სხვებმა არ დაანებეს: ანას თუთის ხეს არ მოგაჭრევინებთო.

თუთის ხე პოეტის სახლთან დღესაც დგას, ის კენწეროთი მეორე სართულს კარგა დიდზეა აცილებული.

აი, ის ხეც.

იმუშავეთ ჯგუფებად

წარმოიდგინეთ, რომ აკეთებთ ანას თუთის ხის დასაცავ აბრას. შეადგინეთ ტექსტი. გააფორმეთ აბრა. შეარჩიეთ საუკეთესო ნამუშევარი.

საშინაო დავალება

მოიძიე ანა კალანდაძის ლექსების კრებული. ამოარჩიე ერთი ლექსი და წაუკითხე შენს თანაკლასელებს.

იაკობ გოგებაშვილი

(მოკლე ბიოგრაფია)

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა ქართლში, სოფელ ვარიანში, 1840 წლის 15 ოქტომბერს. იაკობის მამა მღვდელი ყოფილა. 9 წლის იაკობი თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც თურმე ძალიან კარგად სწავლობდა და პირველ მოწაფედაც ითვლებოდა. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იაკობი სასულიერო სემინარიაში გადავიდა, მერე კი სახელმწიფო ხარჯით კიევის სასულიერო აკადემიაში გაგზავნეს.

კიევში იაკობ გოგებაშვილს ავადმყოფობამ დარია ხელი. იგი იძულებული გახდა, ორი წლის შემდეგ ისევ სამშობლოში დაბრუნებულიყო. ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა, მერე კი სამწერლო, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა.

იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“ და სხვა სახელმძღვანელოები, რომელთა გამოცემების საერთო რაოდენობამ სამ მილიონს მიაღწია. მარტო „დედა ენის“ პირველი ნაწილი 45-ჯერ გამოიცა. გარდა ამისა, იაკობ გოგებაშვილი 100-ზე მეტი საყმაწვილო მოთხრობის ავტორიც გახლავთ.

იაკობი გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს. „დედა ენის“ ავტორი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში განისვენებს.

სიტყვის სკივრი

სემინარია – სასულიერო სასწავლებელი.
აკადემია – უმაღლესი სასწავლებელი.
გახლავთ – არის.
პანთეონი – გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაო.

1. **რა გაიგეთ ახალი იაკობ გოგებაშვილის შესახებ? ამოიკითხეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილები.**

იმუშავეთ წყვილებად

შეავსეთ ცხრილი: რა ვიცოდი, ახალი რა გავიგე, კიდევ რა მაინტერესებს.

დაიმახსოვრე!

ბიოგრაფია და ავტობიოგრაფია

გამოჩენილი პიროვნებები – მწერლები, ხელოვანნი, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები – ღრმა კვალს ტოვებენ თანამედროვეთა მეხსიერებაში. დიდი პიროვნებების ცხოვრება აუცილებლად უნდა აღიწეროს, რათა მომავალმა თაობებმა ისინი არ დაივიწყონ. თუ ასე არ მოხდა, შთამომავლობა მხოლოდ ზეპირი გადმოცემების იმედად დარჩება (მაგალითად, უდიდესი ბერძენი პოეტის, ჰომეროსის და „ვეფხისტყაოსნის" ავტორის, შოთა რუსთაველის, შესახებ ჩვენს დრომდე მხოლოდ ზეპირი გადმოცემებია მოღწეული).

გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას ბიოგრაფია ეწოდება.

ვთქვათ, ბიბლიოთეკაში ვართ და წიგნებს ვაკვირდებით. ერთს ყდაზე „ჩემი თავგადასავალი" აწერია, მეორეს – „ჩემი ცხოვრების გზა", მესამეს – „რაც გამახსენდა" და სხვ. მარტო სახელწოდებების წაკითხვითაც მივხვდებით, რომ ამ წიგნების ავტორები თავიანთ ცხოვრებაზე, თავგადასავალზე თვითონ მოგვითხრობენ. ამგვარ წიგნს ავტობიოგრაფიულს უწოდებენ.

ბიოგრაფიას სხვა პირი წერს, ის მესამე პირში იწერება; ავტობიოგრაფიას კი ადამიანი თვითონ წერს და თხრობაც პირველი პირით ხდება.

გთავაზობთ ერთი მოსწავლის ავტობიოგრაფიას:

ავტობიოგრაფია

მე, დიმიტრი ჯავახიშვილი, დავიბადე 2008 წლის 15 ივნისს ქალაქ გორში, მასწავლებლის ოჯახში. დედა, თამარ გედევანიშვილი, დიასახლისია. მამა, ალექსანდრე ჯავახიშვილი, მუშაობს სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. მყავს ერთი ძმა და ორი და – გიორგი, თამარი და ანა. ისინი ჩემზე უფროსები არიან და სკოლაში სწავლობენ.

4 წლისა მიმიყვანეს საბავშვო ბაღში. 6 წლის რომ გავხდი, შევედი გორის №1 საშუალო სკოლაში. ვარ მეოთხე კლასის მოსწავლე. დავდივარ ფეხბურთზე, ვმღერი ხალხური სიმღერის ბავშვთა ანსამბლში. მიყვარს წიგნის კითხვა და ლიახვში ბანაობა.

2. როცა ამ ავტობიოგრაფიას წერდა, მაშინ გიორგი მეოთხე კლასში იყო. როგორ ფიქრობ, იგი ახლა შენი თანატოლია, შენზე უფროსი თუ შენზე უმცროსი?

საშინაო დავალება:

გამოჰკითხე შენი ოჯახის რომელიმე წევრს და დაწერე მისი მოკლე ბიოგრაფია. გაითვალისწინე შემდეგი მონაცემები: დაბადების თარიღი, ადგილი, მშობლები, ოჯახის შემადგენლობა, სად სწავლობდა, რას საქმიანობს, რა აინტერესებს და რა მოსწონს.

„დედაენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!
დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი
მგალობელი ფრინველი.
იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!

გიორგი ლეონიძე

სიტყვის სკივრი

ვარდნაბამი – ვარდგამობმული,
ვარდგამოსხმული, აყვავებული.
ყრმობა – ბავშვობა.
გვისურნელა – სურნელით აგვავსო.
ოქროსხმიანი სიმები – სიმები, რომლებიც მშვენიერ ხმას გამოსცემს.

1. რას მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი?
2. რას ადარებს პოეტი „დედაენის“ მადლს?

საგანძური

ქართველებისათვის დედა მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც დედაენას ეძახის, უფროს ქალაქს – დედაქალაქს, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – დედაბოძს, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს – დედაბურჯს, სამთავრო აზრს – დედააზრს, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – გუთნისდედას.

რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!..

ილია ჭავჭავაძე

დაიმახსოვრე!

კუთვნილებითი ნაცვალსახელი

გაიხსენეთ პირის ნაცვალსახელები:

I პირი – მე, ჩვენ;
II პირი – შენ, თქვენ;
III პირი – ის, ისინი.

ასევე არსებობს კუთვნილებითი ნაცვალსახელები, რომლებიც რაიმე საგნის ამა თუ იმ პირისათვის კუთვნილებას გამოხატავს:

I პირის კუთვნილება – ჩემი, ჩვენი (სკოლა);
II პირის კუთვნილება – შენი, თქვენი (სკოლა);
III პირის კუთვნილება – მისი, მათი (სკოლა).

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი. დაასახელე, რომელია პირის ნაცვალსახელები, რომელი – კუთვნილებითი:

მე უკვე სკოლაში დავდივარ, ნანა კი პატარაა. ის ხშირად თამაშობს ჩემი ნივთებით. დედა სულ აფრთხილებს: შენ შენი სათამაშოებით ითამაშეო. ჩვენი ფისოც მაბრაზებს, შეხტება მაგიდაზე და ფანქრებს გადმოყრის ხოლმე. მამა კი მოითხოვს: თქვენს ნივთებს თქვენ თვითონ მიხედეთო. მე რომ ჩემს მაგიდას დავალაგებ, მერე ნანას ვეხმარები. მისი სათამაშოები სულ იატაკზეა მიმოფანტული.

სასაუბრო

პირველად რა წიგნი წაიკითხეთ?
რატომ მოგინდათ ამ წიგნის წაკითხვა?
რა მოგეწონათ ამ წიგნში ყველაზე მეტად?

დაიმახსოვრე, როგორ იწერება!

დედაენა	დედაბოძი	დედააზრი
დედაბუნება	დედაქალაქი	დედამიწა

საშინაო დავალება:

დაწერე თემა: ჩემი პირველი წიგნი
გაიხსენე, რომელი წიგნი წაიკითხე პირველად; რატომ აირჩიე ეს წიგნი; ვინ იყო მისი ავტორი; რა იყო ამ წიგნის სათაური; რა მოგეწონა ყველაზე მეტად.

ბედნიერება

ჩვენი სახლის წინ ჯერ სხვა სახლები და ხეებია, მერე – ვენახები, მერე – მთა.

მთის აქეთა ფერდობზე აქა-იქღა შერჩენილა ბუჩქები, მთის იქით ტყეა, დიდი ტყე.

საღამოობით, როდესაც წვიმს, ან ნაწვიმარია და ცივა, ვეხვევი მამაჩემის თბილ პალტოში, ფეხებმოკეცილი ვჯდები აივნის კუთხეში მიდგმულ ტახტზე, ნიკაპით ვებჯინები მუშტებს, ვუყურებ ნისლჩადედებულ, ჩაბუნტებულ მთას და ვფიქრობ:

მთის იქით წვიმის წვეთებით ტოტებდამძიმებული, ძირს დაშტერებული შავი ხეები დგანან. იმ ხეებს სცივათ.

სცივათ დანაღვლიანებული თვალებით მომზირალ ციყვებსა და კვერნებს.

სცივათ ბუჩქნარში გავლისას გაწუწულ შვლის ნუკრებს.

სცივათ თავდაღუნულ, ქეჩოაჯაგრულ მგლის ლეკვებსაც.

მე თბილად ვარ.

რომ შეიძლებოდეს და მამაჩემის თბილ პალტოში შემომაყუჟებინა კვერნები, ციყვები, შვლის ნუკრები, თვით მგლის ლეკვებიც კი, – იყვნენ შემოყუჟულნი ჩემი მკლავების ქვეშ და იყურონ გარეთ მარტო ცხვირგამოყოფილებმა, – მეცა და ისინიც ნამდვილად ბედნიერები ვიქნებოდით.

მართლა, რა არის ეს ბედნიერება, ასე ხშირად რომ ვნატრობთ?

ალბათ სითბოსავით კარგი რაღაც, არა?

რა თქმა უნდა, როცა ცივა.

რევაზ ინანიშვილი

სიტყვის სკივრი

ნისლჩადედებული – იგულისხმება ხევებში ჩამდგარი ხშირი ნისლი.

ჩაბუნტებული – ჩამუქებული, ჩაბნელებული.

ქეჩო – ნადირის კისრის შემაღლება.

შეყუჟვა – სადმე თავის შეფარება.

1. როგორი ამინდია აღწერილი მოთხრობაში?
2. რას ხედავს პატარა ბიჭი სახლის აივნიდან?
3. როგორ იქცევა პატარა ბიჭი წვიმიან ამინდში?
4. რას ფიქრობს პატარა ბიჭი?
5. რას ნატრობს იგი?

სასაუბრო

იმსჯელეთ, არის თუ არა ბედნიერება ის, რასაც ბიჭი ნატრობს.
თქვენ როდის გრძნობთ თავს ბედნიერად?

დაიმახსოვრე!

არსებითი სახელი

არსებითი სახელია სიტყვა, რომელიც საგანს აღნიშნავს და დაესმის კითხვები „ვინ?“ და „რა?“

არსებითი სახელი შეიძლება იყოს სულიერი და უსულო. ადამიანი და ყველა ცოცხალი არსება სულიერი სახელების ჯგუფშია გაერთიანებული. ყველა დანარჩენი კი უსულო არსებითი სახელებია. მაგალითად:

სულიერი – ელენე, ექიმი, ბატკანი, პეპელა, მერცხალი, კნუტი, თევზი და სხვა.

უსულო – ბალახი, ხე, იასამანი, ქვა, სახლი, ეზო, წვიმა და სხვა.

„ვინ?“ კითხვა დაესმის მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებშიც ადამიანი იგულისხმება. ყველა დანარჩენ არსებით სახელს, სულიერსაც და უსულოსაც, დაესმის კითხვა „რა?“. მაგალითად:

ვინ? – ბავშვი, ქალი, პოლიციელი, დეიდა, ბაბუა და სხვ.

რა? – ლეკვი, მთა, ვაშლი, ოცნება, წვიმა და სხვ.

დაუსვი კითხვები ხაზგასმულ სიტყვებს:

აივანზე ჩვენი ფისო წამოწოლილა. იქვე მაიკო ზის და კითხულობს. დიდედა ეზოში ფუსფუსებს. ჭიშკარს ჩვენი ნიკორა მოადგა, ბოჩოლა ბოსლიდან შეეხმიანა დედას. მოსაღამოვდა, მამაც დაბრუნდა, მან თავისი მეგობარი მოიყვანა სტუმრად. ყურშა ყეფით გაექანა ჭიშკრისკენ.

იმუშავეთ წყვილებად

ჩამოწერეთ ექვსი სულიერი და ექვსი უსულო არსებითი სახელი.

საშინაო დავალება:

აღწერე, რა მოჩანს შენი ფანჯრიდან ან აივნიდან (გამოიყენე სიტყვები: ჯერ... მერე...).

ოცნება

სოფლელი ბიჭი ვიყავი,
ჭილოფის ქუდი მეხურა,
მდელოზე წამოვწვებოდი
და ვოცნებობდი გლეხურად:

– ნეტავ მე მომცა ის ზეცა,
ვარსკვლავი დამაკრეფინა,
იფნებთან ქარის ჩურჩული
მარტო მე გამაგებინა!
თეთრად კაშკაშა მწვერვალზე
კოშკები ამაგებინა!..

ალექსანდრე საჯაია

სიტყვის სკივრი

ჭილოფის ქუდი – ჭილით (ჩალისებრი მაღალი ბალახით) დაწნული ქუდი.
იფანი – კოპიტი, ფოთლოვანი ხე.

1. რაზე ოცნებობს გლეხის ბიჭი?
2. რას ნიშნავს: „თეთრად კაშკაშა მწვერვალი“?
3. რატომ ჰქვია ამ ლექსს „ოცნება“?

დაიმახსოვრე, როგორ იწერება!

მე ვოცნებობ	მე ვურჩიე
მე ვუბრძანე	მე ვვარცხნი

1. **მოძებნე ლექსში ძახილის წინადადებები. რა არის მათში გამოხატული – ნატვრა თუ თხოვნა?**

2. **დაასახელე, რომელი სიტყვა შეეფერება** ბიჭს **და რომელი** – სიმღერას?

ქალაქური	კახური	მეგრული
იმერელი	ფშაური	ქართლელი

დაიმახსოვრე!

ზმნის დრო

დროს სხვადასხვა სიტყვა გამოხატავს:

წარსულს – წინათ, ადრე, გუშინ, შარშან...

აწმყოს – დღეს, ახლა, ამ წამს...

მომავალს – ხვალ, ზეგ, მაზეგ, გაისად...

დრო ზმნაშიც გამოიხატება. ზმნას სამი დრო აქვს: წარსული, აწმყო და მომავალი. ზმნის დროის გამოცნობა კითხვის დასმითაც შეიძლება:

წარსული – რა გააკეთა? (დაწერა)

აწმყო – რას აკეთებს? (წერს)

მომავალი – რას გააკეთებს? (დაწერს)

3. წაიკითხე ლექსის პირველი სტროფი. აღნიშნე, რომელ დროში დგას ზმნები. გადაიყვანე ეს ზმნები აწმყოსა და მომავალში.

4. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი. მოძებნე მასში ზმნები, დაუსვი კითხვები და დაასახელე, რომელ დროში დგას ისინი:

„ერთი მელა შემოგვეჩვია. სულ გაგვიტიალა და გაგვიოხრა ვენახი. ბოლოს ვთქვი: წავალ, ვუყარაულებ და დავიჭერ-მეთქი. ვიპოვე ხვრელი, საიდანაც მელა მოძვრებოდა. დავჯექი და დაველოდე.

ვხედავ, მოდის მელა და მოაფაჩუნებს, აქეთ-იქით იყურება. ვტაცე კუდში ხელი და დავიჭირე“.

5. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი. აწმყოში მოცემული ზმნები გადაიყვანე ჯერ წარსულში, შემდეგ – მომავალში:

ნინო საინტერესო წიგნს კითხულობს.

სანდრო ურიკას აკეთებს.

გიორგი გაკვეთილებს სწავლობს.

ბაბუა ნერგებს რგავს.

ნელი წინსაფარს კერავს.

მე მეგობარს წერილს ვწერ.

საშინაო დავალება:

შეადგინე ექვსი წინადადება, ორ მათგანში გამოიყენე აწმყო დროის ზმნები, ორში – წარსულის, ორში – მომავლის.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი. შინაარსისის გათვალისწინებით დაყავი ეპიზოდებად და დაასათაურე:

ტყეში

ტყეში დაკარგულხართ? – არა?!

აი, ნიკო კი ერთხელ დაიკარგა!

რაო? ნიკოს არ იცნობთ?!

ნიკო თქვენხელა ბიჭია, ქალაქელი, მისი პაპა და დიდედა კი სოფლად ცხოვრობენ; ზაფხულობით ესტუმრება ხოლმე და არდადეგებს მათთან ატარებს.

ერთხელ ნიკო პაპასა და მის მეზობლებს – კოლას, გოგიასა და ვალიკოს – დიდ, დაბურულ ტყეში წაჰყვა, შეშა უნდა დაემზადებინათ.

ეს დიდი, დაბურული ტყე, იცით, როგორია? – არა?!

დგანან მაღალი, თვალშეუწვდენელი წიფლები, რცხილები, ნეკერჩხლები, აქა-იქ – მუხებიც. მიწაზე რბილ ხალიჩასავით გაფენილა შარშანდელი, შარშანწინდელი და იმის წინანდელი ფოთოლი. მიდიხარ და მიაშრიალებ იმ ფოთლებს. გრილა, ხის ტოტებში დაფრთხიალებენ ჩხიკვები, წიფლისჩიტები, ბოლოცეცხლები, აქა-იქ გაკრთება, გაიელვებს კუდბუთქუნა ციყვიც. ისმის გუგულის ძახილი, შორიახლოს კი კოდალა აკაკუნებს.

ავიდნენ ტყისპირში ეს ჩვენი ნიკო, ნიკოს პაპა, კოლა, გოგია და ვალიკო. დაიბანეს წყაროზე ხელპირი, აუჩქარებლად ისაუზმეს და შეაბიჯეს იმ დიდ, დაბურულ ტყეში.

ნიკო სულ აქეთ-იქით იცქირება, გაკვირვებული ათვალიერებს დევერხანა წიფლებს, რცხილებს, ნეკერჩხლებსა და მუხებს.

ნიკოს პაპამ დინჯად, საქმიანად მიიარ-მოიარა იქაურობა, შეარჩია გამხმარი, დაკორძებული ხეები, დაადო ზედ ცულით ნიშანი და კაცებს უთხრა, – სხვას ხელი არ ახლოთ, მარტო ესენი მოჭერითო.

მოიმარჯვეს იმათაც ცულები და დაიწყეს ჭრა...

ნიკო ერთხანს წყნარად იდგა და კაცებს უყურებდა, მერე კი, პირველი ხე რომ წააქციეს და პირწმინდად გასხიპეს, თითქოს რაღაც ჩასწყდა გულშიო, მოიწყინა; პაპას გახედა, მაგრამ ისიც კაცებს ეხმარებოდა, იმასაც ცული ეჭირა ხელში.

უეცრად ნიკოს გუგულის ძახილი შემოესმა:

– გუ-გუ! გუ-გუ!

მივალ ერთი, ვნახავ, როგორი ჩიტიაო, გაიფიქრა და ხმის მიმართულებით წავიდა. დიდხანს იარა, მაგრამ გუგულს ვერსად მიაგნო. ბოლოს გაჩერდა, მიიხედ-მოიხედა...

ირგვლივ რაღაც უცნაური, იდუმალი სიჩუმე ჩამოწოლილიყო; აღარც გუგულის ხმა ისმოდა და აღარც – ცულებისა. მოეჩვენა, რომ ვიღაც უხილავი არსება უთვალთვალებდა, ტანზე შიშის ეკალმა დააყარა და თმა ყალყზე დაუდგა.

გაქცევა მოუნდა, მაგრამ მუხლები ისე დასდუნებოდა, ნაბიჯი ვერ გადადგა, ისიც ვერ იაზრა, საით წასულიყო; სასოწარკვეთილი ერთი დიდი წიფლის პრიალა ზროს მიეყრდნო და ჩუმად ატირდა...

– არა გრცხვენია, კაცო, რა გატირებს?! – მოესმა უცებ.

ნიკომ აიხედა და პაპა არ დაინახა?!

– რა იყო, რამ შეგაშინა?

– გზა ამებნა...

პაპამ მდუმარედ შეათვალიერა ბიჭი და მერე უთხრა:

– პაპა შემოგევლოს, როცა გზა აგებნევა, ის უნდა გაარკვიო, სხვები სად არიან; შენ კი იმაზე ფიქრობდი, მე სადა ვარო. დაიმახსოვრე: – მარტო საკუთარ თავზე ფიქრი გზას ვერ გაპოვნინებს!

მოხუცი გაბრუნდა და ტყეში გაქნილ ბილიკს დაადგა, ნიკოც კვიცივით აედევნა უკან.

ასიოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, ისევ მოისმა ცულების კაკუნი და სულ მალე ნიკომ ტყეში მომუშავე კაცებიც დაინახა.

ასე დაიკარგა ერთხელ ნიკო ტყეში.

თქვენ ჯერ არ დაკარგულხართ? – არა?!

ნუგზარ შატაიძე

სიტყვის სკივრი

დევერხანა – დიდი, ვეება.
ზრო – ხის ტანი.
თმა ყალყზე დაუდგა – შიშისგან თმა აებურძგნა.
იაზრა – მოიფიქრა, მოისაზრა.
გაქნილი – გაკვალული, გატკეპნილი (ბილიკი).

1. როგორია დიდი დაბურული ტყე?
2. როგორ ამზადებენ შეშას?
3. რატომ დანაღვლიანდა ნიკო?
4. რას განიცდიდა ტყეში დაკარგული ნიკო?
5. რატომ ვერ გაუგნია ნიკოს ტყეში გზა?
6. რა გვაპოვნინებს თურმე გზას?

სასაუბრო

რისი დამახსოვრება მოსთხოვა პაპამ ბიჭს? რატომ უნდა დაიმახსოვროს ბიჭმა პაპის ეს ნათქვამი? რაში გამოადგება ის?

1. როდესაც ნაწარმოებს შინაარსის მიხედვით ეპიზოდებად დავყოფთ და დავასათაურებთ, ნაწარმოების გეგმას მივიღებთ. განიხილეთ თქვენ მიერ შედგენილი გეგმები. შეათანხმეთ, ჩამოწერეთ დაფაზე და გადაწერეთ საშინაო დავალების რვეულებში.

2. კიდევ ერთხელ წაიკითხე ტექსტი, ამოკრიბე და თანმიმდევრობით გადმოეცი, თურმე როგორ ამზადებენ შეშას.

3. მოძებნე ტექსტში და წაიკითხე, სად არის ბუნების აღწერა.

4. წარმოიდგინე და გვიამბე, როგორ მოჰყვებოდა ნიკო მოთხრობაში გადმოცემულ ამბავს.

დაიმახსოვრე!

ზმნისწინი

ზმნას შეიძლება თავში დაერთოს ერთ ან ორმარცვლიანი ნაწილი, რომელიც ძირითადად მიმართულებას გამოხატავს.

მაგალითად:

ამო-ვიდა – ქვემოდან ამოსვლას აღნიშნავს;

შე-ვიდა – შიგნით შესვლას;

ჩამო-ვიდა – ზემოდან ქვემოთ ჩამოსვლას;

გადა-ვიდა – რამეზე ზედ გადასვლას და სხვ.

დააკვირდით დანარჩენ ფორმებს: ა-ვიდა, ჩა-ვიდა, წა-ვიდა, გა-ვიდა, გამო-ვიდა, შემო-ვიდა, წამო-ვიდა.

ზმნის იმ ნაწილს, რომელიც მას თავში დაერთვის და მიმართულებას ცვლის, ზმნისწინი ჰქვია.

ზმნა – „ჩხიკვი ზაქარა“. ჩასვი გამოტოვებული ზმნისწინები.

5. ყურადღებით წაიკითხე წინადადებები. დააკვირდი ხაზგასმულ ზმნებს. აღნიშნე, რომელ მიმართულებას გამოხატავს ზმნისწინიანი ფორმები:

ოთახში ღამის პეპელა შემოფრინდა. დედამ კაბა კარადაში შეკიდა. პაპა მარანში შევიდა და დოქი გამოიტანა. არწივი მთებისკენ გაფრინდა. თუთიყუში გალიიდან გამოფრინდა. გიორგიმ თაროდან წიგნი ჩამოიღო.

საშინაო დავალება:

შეარჩიე კლასში შეთანხმებული გეგმის მიხედვით მოთხრობის რომელიმე ეპიზოდი და დაწერე მისი შინაარსი.

შემოდგომა

შემოდგომა განახევრებულა. ენკენისთვე, ანუ სექტემბერი გასულა და ღვინობისთვეც საცაა გავა. მოსავალი ვენახებიდან და მინდვრებიდან, ბაღებიდან და ბოსტნებიდან შინ მიუტანიათ.

წარმოვიდგინოთ ძველებური სახლი, კრამიტით გადახურული და რიკულებიანი აივნით დამშვენებული.

როგორც კი ეზოში შეხვალთ, მაშინვე გასაშრობად გამოფენილ ჩურჩხელებს შეავლებთ თვალს. ჩურჩხელები ჯერ მხოლოდ წითლად ღუიან.

ღობეზე ნამგლით აჭრილი სიმინდის ფუჩეჩი მიუყუდებიათ, ესეც გასაშრობად არის გამოტანილი და მზის გულზე მიფიცხებული. ყვითელი ტაროები ერთმანეთზე გადაუბამთ და აივნის ბოძზე ჩამოუკიდიათ. აქვეა ყურძნის ჯაგანი, გალა ნივრისა და ხახვისა, წითელი წიწაკის ასხმულა, ყვითელი ზაფრანა.

ეზოში გაფენილ ფარდაგზე კაკალი გაუშლიათ, ცოტა იქით – ლობიო და დაფხვნილი სიმინდი.

ყველაფერს მზე სჭირდება, მზეზე გამოშრობა და გამოყვანა.

სასიმინდიდან ყვითელი და თეთრი ტაროები იკრიჭებიან. ბეღელი ხორბლითაა სავსე. საბძელში ბზეა, იქვე სათივე დგას, ბაღში ხბო იცოხნება.

მარნის, საბძლის და ბეღლის სახურავებზე გოგრები მიწოლილან, თეთრი და ყვითელი, ხოკერა გოგრები. მარნის კარი ფართოდ გაუღიათ და იქიდან ახალი მაჭრის სუნი გამოდის. ეს ტიკიც რაღა ახლა დაუსვამთ მარნის კართან და თანაც სამფეხა ხის სკამზე? შიგ ჯერ არაფერი ასხია, მაგრამ ტიკი მაინც დიდებულად გაბერილა და იმგვარად შემოგვცქერის, თითქოს მის გარეშე აქაურობა არაფრად ეღირებოდა.

თამაზ ბიბილური

სიტყვის სკივრი

ჯაგანი – ყურძნის მტევნების ასხმულა.
გალა – ფოჩებით დაწნული ნიორი ან ხახვი.
ზაფრანა – ყვითელი ყვავილი, სანელებელი.
საბძელი – ბზის შესანახი ნაგებობა.
ბეღელი – პურის შესანახი ნაგებობა.
ხოკერა – სქელქერქიანი.
ტიკი – ღვინის შესანახი ტყავის ჭურჭელი.

1. რომელ თვეს ეძახიან ღვინობისთვეს და რატომ?
2. მოთხრობის მიხედვით რა მოუტანიათ ვენახიდან, ბოსტნიდან, მინდვრებიდან?
3. მოთხრობის რომელი ეპიზოდი მიგვანიშნებს, რომ მასში ღვინობისთვეა აღწერილი?

იმუშავეთ ჯგუფებად

ტექსტში წერია: „მოსავალი ვენახებიდან და მინდვრებიდან, ბაღებიდან და ბოსტნებიდან შინ მიუტანიათ“. ჯერ ჩამოწერეთ, რა დოვლათი მიუზიდავთ ოჯახში... ახლა წარმოიდგინეთ, ვინ ცხოვრობს ამ ძველებურ სახლში და ვინ რა წვლილს შეიტანდა მოსავლის დაბინავებაში. წაიკითხეთ ნამუშევრები.

მზე

მზე ელოდება ვენახში მეზვრეს,
მზემ გაიღვიძა დიდი ხანია,
მზეს დილის ცვარი ათინათს ესვრის,
მზის სიხარულით გაუხარია,

მზით ავსებულა ყველა მტევანი
და მზედ ქცეულა წვეთი ყოველი,
ამაღლებულა, მზეო, შენამდე
მადლიერ მიწის საგალობელი.

ავთანდილ არაბიძე

სიტყვის სკივრი

მეზვრე – მევენახე.
ათინათი – არეკლილი სხივი.

1. რას დაუსწრია მევენახისათვის ვენახში მისვლა?
2. რატომ ემადლიერება მზეს ნაყოფით სავსე მიწა?

დაიმახსოვრე!

ბრუნება

გადმოწერეთ დაფაზე, რამდენი ფორმით არის სიტყვა <u>მზე</u> ლექსში გამოყენებული. ახლა დააკვირდით სიტყვას <u>ქარი</u>:

ქარი მოვარდა,
ქარმა მომაგნო,
ქარს გავეკიდე,
ქარის ბრალია,
ქარით დაღლილი
ქარად ვიქეცი,
ქარო, როდემდის
ვიქნები ასე!

ოთარ ჭილაძე

რამდენი ფორმით გვხვდება სიტყვა <u>ქარი</u>?

ამგვარად, ერთი და იგივე არსებითი სახელი წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს.

სახელის ფორმის ასეთ ცვლას ბრუნება ჰქვია.

როგორც ხედავთ, ქართულში სახელი შვიდნაირად იცვლის ფორმას, ანუ სახელს შვიდი ბრუნვის ფორმა აქვს. შვიდივე ბრუნვის ფორმას საკუთარი სახელწოდება შეურჩიეს და თანმიმდევრობით დაალაგეს.

ბრუნვათა სახელები ზუსტად ამ თანმიმდევრობით უნდა დაიმახსოვროთ:

სახელობითი:	ქარ**ი**
მოთხრობითი:	ქარ**მა**
მიცემითი:	ქარ**ს**
ნათესაობითი:	ქარ**ის**
მოქმედებითი:	ქარ**ით**
ვითარებითი:	ქარ**ად**
წოდებითი:	ქარ**ო**

დააკვირდით: ბრუნების დროს სიტყვაში დაბოლოება იცვლება; ამ ცვალებად ნაწილს ბრუნვის ნიშანი ეწოდება.

თითოეული ბრუნვა წინადადებაში თავის დამოუკიდებელ როლს ასრულებს.

1. **ყურადღებით წაიკითხე წინადადებები. დააკვირდი ხაზგასმულ სიტყვებს, დასახელე, რომელ ბრუნვაშია თითოეული მათგანი:**

იყო ერთი დევი. ერთხელ დევს ნაცარქექია შეხვდა. ნაცარქექიამ დევის ქონება ხელში ჩაიგდო. ერთმა უსუსურმა კაცმა ჭკუით აჯობა დევს.

ჯადოქარმა მზეთუნახავი ჩიტად აქცია.

ბიჭმა ველოსიპედით გაისეირნა პარკში.

მდინარის პირას პატარა ტირიფი იდგა.

ერთხელ ნაპირს ნავი მოადგა.

მზეო, ამოდი ამოდი, ნუ ეფარები გორასა!

2. **ზეპირად აბრუნეთ შემდეგი სიტყვები:**

სკამი, ნავი, ჩიტი, მანქანა, სახლი.

იმუშავეთ ჯგუფებად

შეადგინეთ მოთხრობა, სიტყვა კაცი გამოიყენეთ შვიდივე ბრუნვაში.

საშინაო დავალება:

ჩამოწერე ბრუნვათა სახელწოდებები და მიუწერე ამ სიტყვების შესაბამისი ფორმები: სახლი, წიგნი, ბურთი.